კონკურსში მონაწილეობის მსურველმა ფიზიკურმა პირებმა საიჯარო განცხადების განმხილველ კომისიაში უნდა წარმოადგინონ განცხადება, რომელშიც უნდა იყოს შემდეგი მონაცემები: ფიზიკური პირის გვარი, სახელი, მამის სახელი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, საპასპორტო რეკვიზიტები.

განმცხადებელმა კონკურსში მონაწილეობის მისაღებად უნდა წარმოადგინოს "ბე"-ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი; "ბე"-ს სიდიდე არ უნდა იყოს რესპუბლიკაში დადგენილი მინიმალური ხელფასის ორმაგ ოდენობაზე ნაკლები.

თანხის ჩარიცხვა უნდა მოხდეს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ანგარიშზე: სააქციო-კომერციული ბანკი "საქართველოსბანკი" ა/ა №001141776, მფო 521017.

განაცხადები თავსდება სპეციალურ კონვერტებში და ილუქება განმცხადებლის მიერ ან მისი თანდასწრებით.

განმცხადებელი კონკურსში მონაწილის სტატუსს იძენს საიჯარო განმცხადებლის განმხილველი კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განაცხადების რეგისტრირებისა და ხელმოწერით დადასტურების შემდეგ.

განაცხადების მიღება მთავრდება კონკურსის ჩატარებამდე სამი დღით ადრე.

საკონკურსო კომისიის სხდომა გაიმართება სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში ამ განაცხადების გამოქვეყნებიდან 1 თვის შემდეგ. სხდომის ჩატარების დრო და ადგილი, სადაც მოხდება ცალკეული განაცხადების განხილვა განმცხადებელს ეცნობება განცხადების წარმოდგენისას.

განაცხადების მიღება წარმოებს ყოველდღე (დასვენების დღეების გარდა) 10 საათიდან 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის პრ. №64. სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო, ოთახი №307.

**ცნობებისათვის დარეკეთ 29-27-94, 29-00-06**

**საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო.**

## საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში

# სააქციო საზოგადოება „ავტომოტოსერვისი“-ს საწესდებო კაპიტალში შეტანილია ცვლილებები

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 1994 წლის 26 დეკემბრის №37.36.379 დადგენილებით "საქავტოსერვისი"-ს ბაზაზე დაფუძნდა სააქციო საზოგადოება "ავტომოტოსერვისი" რომლის საწესდებო კაპიტალმა შეადგინა 74,808 ათასი კუპონი, ანუ 109,368 აშშ დოლარი.

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 1995 წლის 14 ივნისის №1-3/536 ბრძანებით შეიქმნა კომისია, რომელსაც დაევალა ს/ს "ავტომოტოსერვისი"-ს სადამფუძნებლო დოკუმენტების გადამოწმება.

კომისიის მიერ წარმოდგენილი დასკვნების საფუძველზე სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომ მიიღო დადგენილება "სააქციო საზოგადოება "ავტოსერვისის" საწესდებო კაპიტალში ცვლილებების შეტანის შესახებ". დადგენილების თანახმად მიღებული იქნა სამინისტროს 1995 წლის 14 ივნისის №1-3/536 ბრძანებით გამოყოფილი კომისიის წინადადება და სააქციო საზოგადოება "ავტომოტოსერვისი"-ს საწესდებო კაპიტალი გაიზარდა 44,521 ათასი კუპონით, ანუ 65.089 აშშ დოლარით, შესაბამისად სააქციო საზოგადოება "ავტომოტოსერვისი"-ს საწესდებო კაპიტალი განისაზღვრა 119,329 ათასი კუპონით, ანუ 174,457 აშშ დოლარით. სამინისტროს ფასიანი ქაღალდების განყოფილებას (ვ.ჩხაიძე) დაევალა სააქციო საზოგადოება "ავტომოტოსერვისი"-ს საწესდებო კაპიტალში ამ დადგენილებით გათვალისწინებული ცვლილებების საფუძველზე შეიტანოს შესაბამისი ცვლილებები სააქციო საზოგადოების პრივატიზაციის გეგმასა და წესდებაში, რის შესახებაც აცნობოს დიდუბის რაიონის გამგეობას. მოახდინოს შესაბამისი ცვლილებები სამინისტროს კოლეგიის 1995 წლის 27 მარტის №12.09.105 და 1995 წლის 22 მაისის №23.06.431 დადგენილებებში. საორგანიზაციო-საინფორმაციო განყოფილებას დაევალა "ავტომოტოსერვისი"-ს შემოწმების მასალები გამოაქვეყნოს გაზეთ "პრივატიზების მაცნეში". აღინიშნა, რომ სამინისტროს შესაბამისმა განყოფილებებმა სააქციო საზოგადოება "ავტომოტოსერვისის" დაფუძნების დროს არ მიაქციეს სათანადო ყურადღება ტერიტორიული კოეფიციენტების მიყენების საკითხს.

დადგენილების მიხედვით სამინისტროს დარგობრივ განყოფილებებს დაევალათ ერთი თვის ვადაში გადაამოწმონ მათ მიერ დაფუძნებული საზოგადოებების საწესდებო კაპიტალის განსაზღვრის სისწორე, რომლებშიც შესულია ვაჭრობის, საზკვებისა და მომსახურების სფეროს ტერიტორიული კოეფიციენტები, მოახდინონ მათი საწესდებო კაპიტალის გადაანგარიშება და შედეგების შესახებ მოახსენონ სამინისტროს კოლეგიას.

კონტროლი აღნიშნული დადგენილების შესრულებაზე დაევალა სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის მოადგილეს ბ-ნ გ.დიდბარიძეს.

# საქართველოს რესპუბლიკის ტელერადიო-კორპორაციას ჩაერიცხება პრივატიზებით მიღებული სახსრების საერთო ოდენობის 2 პროცენტი

საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 1995 წლის 21 ივნისის №33 განკარგულებით დაწესდა, რომ სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს დამატებით გამოეყოს პრივატიზებით მიღებული სახსრების საერთო ოდენობით 2 პროცენტი. საქართველოს რესპუბლიკის ტელერადიო-კორპორაციის დასაფინანსებლად, რათა მან მაღალ დონეზე მოახდინოს მასობრივი პრივატიზაციის ჩატარების ინფორმაციული უზრუნველყოფა.

აქედან გამომდინარე კოლეგიამ მიიღო დადგენილება, რომლის მიხედვით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიმფო ქონების მართვის სამინისტროს, ქალაქებისა და რაიონების ტერიტორიულ ორგანოებს დაევალათ სახელმწიფო ქონების პრივატიზებიდან მიღებული სახსრების საერთო ოდენობიდან დაიკავონ 7 პროცენტი. მათ შორის 2 პროცენტი მიზნობრივად გადაურიცხონ საქართველოს რესპუბლიკის ტელერადიო-კორპორაციას, რომლის რეკვიზიტებია: სააქციო კომერციული ბანკი "საქართველოს ბანკი" მფო 521017, სჰპ №002141681, ხოლო დარჩენილი 5 პროცენტის განაწილება მოახდინონ სამინისტროს 1994 წლის 13 იანვრის №241 ბრძანებით დამტკიცებული დებულების შესაბამისად.

აღნიშნულის შესახებ ყოველთვიურად მომდევნო თვის 5 რიცხვამდე მათ უნდა წარმოადგინონ ინფორმაცია სამინისტროში საბუღალტრო ფორმა №I-თან ერთად.

კონტროლი დადგენილების შესრულებამდე დაევალა სახელმწიფო ქონების მართვის მოადგილეს ბ-ნ გ. დიდბარიძეს.

# ანგარიშებს კოლეგია 28 სექტემბერს განიხილავს

**სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის ბ-ნ ავთანდილ სილაგაძის ხელმოწერით 1995 წლის 10 ივლისს გამოიცა ბრძანება "დამტკიცებული მცირე ობიექტების პრივატიზების დაჩქარების შესახებ".**

მინისტრის ბრძანებაში აღნიშნულია, რომ მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა სამინისტროს რიგმა ტერიტორიულმა ორგანოებმა ვერ უზრუნველყვეს დამტკიცებული მცირე საწარმოებისა და ობიექტების სრულად პრივატიზება, რამაც გარკვეულწილად განაპირობა პრივატიზების პროცესის შეფერხება; არცთუ იშვიათად ადგილი აქვს პრივატიზების პროცესის ხელოვნურად გაჭიანურების ფაქტებს ადგილებზე, რაც მოსახლეობის სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს.

აღნიშნულ ნაკლოვანებათა დაძლევის მიზნით მინისტრის ბრძანებით სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელებს დაევალათ, რომ 1995 წლის 15 სექტემბრამდე უზრუნველყონ დამტკიცებული მცირე საწარმოების (ობიექტების) პრივატიზება და გაწეული მუშაობის შედეგების ანგარიში პირადად წარადგინონ სამინისტროს გაფართოებულ კოლეგიის სხდომაზე მიმდინარე წლის 28 სექტემბერს.

აღინიშნა, რომ ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელები პერსონალურად არიან პასუხისმგებელნი დამტკიცებული ობიექტების პრივატიზების ორგანიზებაზე და დავალების დადგენილ ვადებში შეუსრულებლობის შემთხვევაში მათ მიმართ გატარდება მკაცრი დისციპლინარული ღონისძიებები დაკავებული თანამდებობებიდან განთავისუფლებამდე.

მინისტრის მოადგილეებს ბ-ნებს გ. კობერიძეს, კ. იოსელიანს, გ. დიდბარიძეს, ვ. ქარსელაძეს დაევალათ მკაცრი კონტროლი დააწესონ საკურატორო ზონების მიხედვით სახელმწიფო ქონების მართვის ტერიტორიულ ორგანოებზე და პირადი პასუხისმგებლობით უზრუნველყონ აღნიშნული ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებაზე კონტროლი.

# გამოიცა ერთობლივი ბრძანება

რესპუბლიკაში სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის პროცესის გეგმაზომიერად წარმართვის საქმეში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრის და ამ მიმართულებით სამინისტროების, უწყებების და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების საქმიანობის კოორდინაციის უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატის თავჯდომარის ბ-ნ რევაზ შავიშვილისა და სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის ბ-ნ ავთანდილ სილაგაძის ხელმოწერით გამოიცა ერთობლივი ბრძანება (№ 13/631), რომელშიც ნათქვამია:

"შეიქმნას რესპუბლიკაში სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის პროცესის მიმდინარეობაზე კონტროლის მუდმივმოქმედი საკოორდინაციო საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

1. ზ. დვალი – რესპუბლიკის კონტროლის პალატის თავმჯდომარის მოადგილე – საბჭოს თავმჯდომარე;
2. ვ.ქარსელაძე – რესპუბლიკის ქონების მართვის მინისტრის მოადგილე – საბჭოს თავმჯდომარე;
3. ნ.კერესელიძე – დარგობრივი დეპარტამენტის მთავარი მრჩეველი – საბჭოს პასუხისმგებელი მდივანი;
4. მ.გაბუნია – ქონების მართვის სამინისტროს საორგანიზაციო -საინფორმაციო განყოფილების გამგე – წევრი;
5. გ.დიდბარიძე – რესპუბლიკის ქონების მართვის მინისტრის მოადგილე – წევრი;
6. ა. თავართქილაძე – საორგანიზაციო დეპარტამენტის დაგეგმვის, კოორდინაციის და მეთოდური მუშაობის სამმართველოს უფროსი – წევრი;
7. თ.მირესაშვილი – იურიდიული სამმართველოს უფროსი – წევრი;
8. ნ.ტყეშელაშვილი – სარევიზიო დეპარტამენტის მთავარი მრჩეველი – წევრი;

შესამოწმებელი ობიექტების შერჩევისას საკოორდინაციო საბჭომ იხელმძღვანელოს დაფუძნებულ სააქციო საზოგადოებების, პრივატიზებული ობიექტების თანდართული ნუსხით და დამტკიცებული პროგრამით; გაწეული მუშაობის შესახებ პერიოდულად მოხსენდეს რესპუბლიკის კონტროლის პალატასა და ქონების მართვის სამინისტროს ხელმძღვანელობას."

# ბარათები ბანკებს უნდა ჩაბარდეს

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის რაიონულ სამმართველოებს (განყოფილებებს) სახელმწიფოს ქონების მართვის მინისტრის ბ-ნ ავთანდილ სილაგაძის ხელმოწერით დაეგზავნათ წერილი, რომელშიც ნათქვამია: "საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის № 267 (20.05.95) დადგენილების თანახმად საპრივატიზებო ქონების (მათ შორის აქციების) პირდაპირი შესყიდვისას საფასური ნაწილის, აგრეთვე დადგენილი წესით ჩატარებული საბარათო კონკურსის ან საბარათო აუქციონის შედეგად განსაზღვრული საფასურის საპრივატიზებო ბარათებით დაფარვა ფორმდება შესაბამისი ფორმის აქტით იმ საბანკო დაწესებულებებში, სადაც გახსნილია საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ან მისი ტერიტორიული ორგანოს ანგარიშსწორების ანგარიში.

ამასთანავე მათ ვაცნობებთ, რომ სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომ თხოვნით მიმართა სააქციო-კომერციულ ბანკებს – "საქართველოს ბანკს" (წერილი № 01-12/3161 30.06.95) და "აგრომრეწვბანკს" (წერილი № 01-12/3160 30.06.95), რათა ეროვნული ბანკის ცენტრალურ საცავში მათ ჩაბარებამდე, შესანახად, სათანადო აქტების გაფორმებით მათდამი რწმუნებულმა საბანკო დაწესებულებებმა მიიღონ სამინისტროსა და მის ტერიტორიულ ორგანოებში ადრე დაგროვილი, ბათილად ცნობილი საპრივატიზაციო ბარათების ძირითადი ნაწილები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ქონების მართვის რაიონულ (საქალაქო) სამმართველოებს დაევალათ 3 დღის ვადაში ჩააბარონ მათ მიერ მიღებული ბათილად ცნობილი საპრივატიზაციო ბარათების ძირითადი ნაწილები იმ საბანკო დაწესებულებებში, სადაც გახსნილი აქვთ ანგარიშსწორების ანგარიში. ამაზე უნდა გაფორმდეს მიღება-ჩაბარების აქტი 3 ეგზემპლარად, საიდანაც ერთი ეგზემპლარი რჩება საბანკო დაწესებულებებში, ერთი ბანკში, ერთი იგზავნება ქონების მართვის სამინისტროში.

**პრივატიზებულია. როგორ მუშაობს?**

# მოქნილობა კარგი მომსახურების საწინდარია

დღეს, მიუხედავად ათასნაირი ყოფითი სირთულეებისა, მაინც შეიძლება ითქვას, რომ დედაქალაქში შეინიშნება ეკონომიკის აღმავლობის საერთო ფონი. მიმოვიხედოთ ირგვლივ. დაკვირვებულ თვალს არ დაემალება, რომ შედარებით ამაღლდა მოსახლეობის შემოსავლები, გაიზარდა მათი მსყიდველუნარიანობა, ჩამოყალიბდა მეწარმეთა საშუალო ფენა, როგორც ოფიციალური საინფორმაციო საშუალებები იუწყებიან პირველად ბოლო წლების განმავლობაში დედაქალაქის მოსახლეობის ხელფასის ზრდის ტემპმა გაუსწრო სასურსათო საქონელზე ფასების ზრდას, იმატა საქონელბრუნვამ.

ტერიტორიული პროგრამის მიხედვით თბილისში ეკონომიკური რეფორმის განხორციელების ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად მიჩნეული იყო საკუთრებრივი ურთიერთობების მოწესრიგება, სახელმწიფო მუნიციპალურ საწარმოთა პრივატიზება და უძრავი ქონების მართვის სრულყოფა.

პრივატიზების პროცესი მთელ რესპუბლიკაში და კერძოდ მის დედაქალაქში რეალურად დაჩქარდა სახელმწიფოს მეთაურის იმ ბრძანებულების გამოსვლის შემდეგ, რომლითაც ვაჭრობის, საზკვების, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და 30 მილიონამდე საბალანსო ღირებულების მქონე საწარმოთა მუშაკებს მიეცათ ობიექტის პირდაპირი მიყიდვის უფლება.

დედაქალაქში ექვს თვეში პრივატიზებულია 360 მსხვილი იბიექტი, დაფუძნებულია 192 სააქციო საზოგადოება, პრივატიზებულია 1243 ვაჭრობის, საზკვების და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტი. ქალაქში მუშაობს 4000-მდე ჯიხური, საიდანაც რეალურ შემოსავალს ღებულობს 20000 ოჯახი...

ჩვენს თვალწინ შეიცვალა დედაქალაქის სასურსათო თუ სამრეწველო საქონლის მაღაზიების იერ-სახე.

სახე იცვალა ქალაქის ცენტრში, "კაზარიანცის სახელით" ცნობილ სახლში მდებარე გასტრონომიულმა მაღაზიამაც. (სხვათაშორის ეს სახლი ქართველ თავადს აუშენებია და მერე მიუყიდია სომეხი კაზარიანცისათვის). მას ახლა "მთაწმინდა-7" ეწოდება (დირექტორი ოთარ კიკალიშვილი).

ალბათ ყველა თბილისელს ახსოვს ამ გასტრონომის სურსათით დატვირთული თაროები. მაშინ მომარაგების სხვა, ცენტრალიზებული სისტემა მოქმედებდა. მაღაზიას მხოლოდ შეკვეთის მიცემა სჭირდებოდა საზკვების რაიონულ სამმართველოსთვის. დანარჩენი თითქმის თავისთავად ხდებოდა. არც კავშირები ჭირდა. საქონელბრუნვა, საქონლის გაცვლა საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე ხდებოდა.

დღეს სიტუაცია ძირეულად შეიცვალა.

კერძო საკუთრების შემოღებამ მთლიანად დაარღვია ცენტრალიზებული ვაჭრობის სისტემა. ახლა თითოეულმა მესაკუთრემ თვითონ უნდა იზრუნოს, თვითონ უნდა მიხედოს თავის საქმეს. "მთაწმინდა-7"-ის მომარაგება მის მფლობელთა გამგებლობაში მოექცა.

– ჩვენ ძირითადად სავაჭრო ოფისებისა და ცალკეულ ბიზნესმენებს ვუკავშირდებით, – თქვა ჩვენთან საუბარში სასურსათო მაღაზია "მთაწმინდა-7"-ის დირექტორის მოადგილემ ლევან მაჩაიძემ. – ბევრი ბიზნესმენი თვითონ გვაკითხავს და გვთავაზობს საქონელს. ახლებური წესით ცხოვრების დიდი გამოცდილება ჯერ, რა თქმა უნდა, არა გვაქვს, მაგრამ უკვე გაგვიჩნდა "შემოჩვეული" ხალხი.

ბიზნესში, ალბათ, ასეთმა "შემოჩვევამ" უნდა ჩამოაყალიბოს შემდგომი გამართული პარტნიორული ურთიერთობებიც.

დღეს მაღაზიას ნაწილობრივ კვლავ "ქალაქვაჭრობა" ამარაგებს – აქ შედის ის პროდუქტები, რაც მოსახლეობას წილობრივად უნაწილდება ხოლმე. მაგრამ ეს პერიოდულად ხდება. ძირითადად მაღაზია შეისყიდის სასურსათო პროდუქციას. – ჩვენი ამოცანაა – ამბობს ბატონი ლევანი, – ისეთ ფასში შევიძინოთ საქონელი, რომ მოგებაც დაგვრჩეს და არც საბაზრო ფასებს გადავაჭარბოთ.

ამ შემთხვევაში მაღაზიის მესვეურთ დიდი გარჯა ადგებათ. დღესდღეობით ამ სავაჭრო ოპერაციების შესრულება იოლი საქმე არ არის, მაგრამ ჯერჯერობით მომხმარებელი უკმაყოფილო არა ჰყავს. მაღალია გამყიდველთა დაინტერესებაც – რაც მეტ საქონელს გაყიდიან და, მაშასადამე, რაც უფრო მეტი საერთო მოგება დარჩებათ, მეტი თანხა დაემატება მათ ხელფასებს.

მთავარი მაინც ისაა, რომ ყალიბდება საკუთრების ახალი ფორმა. ყალიბდება ახალი, ჯანსაღი ფსიქოლოგია – კარგი შემოსავლის მიღებას კარგი შრომა, სიმარჯვე და ფხის გამოჩენა სჭირდება.

მაღაზიის მეპატრონეებმა სახსრების მოზიდვის სხვა გზებიც მონახეს. – თავის ტერიტორიაზე გახსნეს სასაუზმე, ამ დღეებში აქ ვალუტის გაცვლის პუნქტიც ამოქმედდა. ისინი, რა თქმა უნდა, გარკვეულ თანხებს გადაუხდიან "მთაწმინდა-7"-ის მესაკუთრეებს.

ასე რომ, დედაქალაქის ყოფილი ცენტრალური მორიგე გასტრონომი, დღეს "მთაწმინდა-7" რომ ჰქვია, ახლებურად ცხოვრობს. პირველი ნაბიჯები საიმედოა, რაც კარგი მომავლის, რაც მთავარია, კარგი მომსახურების საწინდარი იქნება.

# ვაუჩერი — ერთ დღეში

ჩვეული ტემპით გრძელდება მოსახლეობისათვის ვაუჩერების ანუ ფასიანი ქაღალდების დარიგება. თუმცა არიან გამორჩეული საბანკო განყოფილებები, რომელთაც განსაკუთრებული ღონისძიებების გატარება სჭირდებათ ტემპების დასაჩქარებლად.

საქმე ის გახლავთ, რომ ყველა განყოფილებას ერთი და იმავე ოდენობის ვაუჩერის გაცემა არ უწევს. აქედან გამომდინარე ზოგს მეტი სამუშაო აქვს ზოგს კი – ნაკლები.

განსაკთრებით რთულია იმ საბანკო განყოფილებების საქმიანობა (ვაუჩერების გაცემა გვაქვს მხედველობაში) ქალაქის მჭიდროდ დასახლებულ, მრავალსართულიან კორპუსებით განაშენიანებულ უბნებში რომ მდებარეობენ. აქ, რა თქმა უნდა, მეტი მოსახლე ბინადრობს.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან არსებული ახალი გაერთიანებული ქართული ბანკის № 12 განყოფილებასაც მოჭარბებულად ჰყავს ვაუჩერის მიმღებნი. სწორედ ამიტომ განყოფილების მმართველის ავთანდილ სანიკიძის გადაწყვეტილებით ხალხს ემსახურება განყოფილების თანამშრომელთა მაქსიმალური რაოდენობა. ამოცანა ხომ ასეთია: რაც შეიძლება სწრაფად გაიცეს საპრივატიზებო ბარათები, რათა მოსახლეობამ შესძლოს მათი დროული გამოყენება, "საქმეში ჩადება".

უკვე საკმაო დრო გავიდა მას შემდეგ, რაც ფასიანი ქაღალდების გაცემა დაიწყო. უკვე საყოველთაოდ ცნობილია, გაზეთებიდან თუ სპეციალური ტელეგადაცემებიდან, თუ რა დიდი საორგანიზაციო სამუშაო ჩატარდა ამ აქციის დაწყებამდე. თითქოს ყველა შესაძლო პრობლემა თუ გართულებული შემთხვევა გათვალისწინებული იყო, მაგრამ...

თვითონ საქმემ – საპრივატიზებო ბარათების გაცემის პროცესმა მაინც მრავალი პრობლემა წარმოაჩინა. პრობლემა მათზე არც კი ითქმის, და ერთი შეხედვით შეიძლება წვრილმანადაც ჩაითვალოს, მაგრამ...

მაგალითად სიაში მოქალაქის გვარი ან სახელი შეცდომითაა შეტანილი. დიახ, შეცდომად ითვლება ერთი შეცვლილი ასოც კი. მაგალითად, დიმიტრის ნაცვლად რომ ლიმიტრი ეწეროს, ეს ხომ ყველასათვის ცხადია მექანიკური, ამ შემთხვევაში კომპიუტერული შეცდომაა. დიახ, ასეა, მაგრამ დადგენილი წესის მიხედვით ბანკის განყოფილება იძულებულია საათობით რიგში დგომის შემდეგ საქმიან ფანჯარასთან მოსული მოქალაქე უკან გააბრუნოს და მოსთხოვოს შეცდომის გამასწორებელი დოკუმენტის, ცნობის მოტანა სახლმმართველობიდან, საპასპორტო მაგიდიდან ან გამგეობიდან.

ბოროტი ენები იმასაც ამბობენ სახლმმართველობებში სიების შეტანის დროს თავიდანვე განზრახ არის შეცდომები "გაპარული", რათა მერე ცნობების გაცემა დასჭირდეთო. შეიძლება მკითხველმა გაიკვირვოს – რად უნდა უნდოდეთ საქმის მომატებაო? მაგრამ... ვინ იცის, ეგებ ძალიანაც უნდათ. ახლა სახლმმართველობები ხომ ფასიან მომსახურებაზე არიან გადასული. თითოეული ცნობის გაცემა გამცემს შემოსავალს უხდის, მოქალაქის ისედაც თითქმის ცარიელ ჯიბეს კი უარესად აცარიელებს... ეს ისე, სხვათაშორის...

ასეა თუ ისე, დრომ გვაჩვენა, რომ ვაუჩერების გაცემის წესში გარკვეული ცვლილებების შეტანა არც საბანკო განყოფილებებს აწყენდათ და მოქალაქეებსაც ააცილებდა უამრავ თავსატეხს – აქეთ-იქით სირბილსა და იმის გარკვევას, რომ პასპორტის მონაცემები ზუსტად იქნას გადატანილი განყოფილებისათვის გაცემულ სიაში.

არის შემთხვევები, როცა რომელიმე მოქალაქის ან საერთოდ რამდენიმე სახლის ბინადართა გვარები საერთოდ გამოტოვებულია სიაში. ამ დროს მოქალაქე წერს განცხადებას სახლმმართველობის მმართველის სახელზე, სახლმმართველობა აგროვებს გამოტოვებულთა გვარებს, გადასცემს რაიონის გამგეობას, მერე რაიონის გამგეობა სპეციალური კომისიის სხდომაზე განიხილავს საკითხს, ამტკიცებს გამორჩენილთა ნუსხას, მერე უგზავნის შესაბამის საბანკო განყოფილებას...

ისეა მეგრელს რომ ჰკითხეს, ყური სადა გაქვსო და... ყოველივე ამის დაზუსტება არ შეიძლება ადგილზევე ხდებოდეს? ამოსავალი დოკუმენტი ხომ მოქალაქის პასპორტია! ყველა ცალკეულ შემთხვევაში განა გამგეობასთან პირდაპირ არ შეიძლება დაკავშირება?

მოქმედი წესის მიხედვით საბანკო განყოფილება აქ ვერაფერს წყვეტს.

ჩვენს კერძო შემთხვევაში, ბანკის № 12 განყოფილებაში, როგორც მმართველმა ავთანდილ სანიკიძემ გვითხრა, მისი პირადი პასუხისმგებლობით ბევრი საკითხის ადგილზევე გარკვევა ხერხდება, მაგრამ როგორც გამოცდილებამ გვაჩვენა, ზოგი წესი მაინც გამარტივებას სჭიროებს. ვთქვათ ადამიანი ავად არის, მწოლიარეა, მოქმედი წესების მიხედვით, მას შინ უნდა მიუყვანონ ნოტარიუსი. აქ იბადება კითხვა – რა ღირს ვაუჩერი და გაწვდება თუ არა მისი ფასი ნოტარიუსის სახლში მიყვანის ხარჯებს?

დაზუსტებას საჭიროებს ვაუჩერების გაცემის წესი სამხედრო მომსახურებაზე, დროებით იზოლატორში მყოფ პირებზე, ფსიქიურად დაავადებულებზე. ამ შემთხვევაში იმდენი ცნობა და დოკუმენტი ხდება შესადგენი და მოსაპოვებელი, რომ შესაძლოა მავანმა საერთოდ უარი თქვას ვაუჩერის აღებაზე..

და მაინც მიუხედავად ზემოთ ჩამოთვლილი სირთულეებისა, ახალი ქართული ბანკის № 12 განყოფილების მუშაკთა გულისხმიერებით ის მაინც ხერხდება, რომ ვაუჩერის აღებისათვის მოსულებს მაქსიმალურად იმავე დღეს ისტუმრებენ.

სხვათაშორის, რაც შეეხება ბანკის თანამშრომლებს, როგორც შევიტყვეთ ისინი უფასოდ, ყოველგვარი დამატებითი ანაზღაურების გარეშე ასრულებენ ამ ზღვა სამუშაოს, მაშინ როდესაც შინაგან საქმეთა სამინისტროდან მოვლინებულ დამცველს თვეში 60000 კუპონი ეძლევა. საერთოდ საკითხავია, რას სჭირდება დაცვა? ხომ ცნობილია, რომ ყველა საბანკო განყოფილება გარკვეულ სავალუტო ოპერაციებს ასრულებს. ისინი ხომ ისედაც უზრუნველყოფენ თავიანთი "ქონების" დაცვას?

განყოფილება ვაუჩერების გაცემასთან ერთად ჩვეული რიტმით განაგრძობს თავის უპირველესი მოვალეობის შესრულებას. პირველ რიგში საშემნახველო საქმეს, ვალუტის გაცვლით ოპერაციებს, ყველა სახის გადასახადების მიღებას როგორც მოქალაქეებისაგან, ისე ორგანიზაციებისგან. განყოფილება დღეს 72 იურიდიულ პირს უწევს საბანკო სამსახურს.

განსაკუთრებით საინტერესოა ახალი ქართული ბანკის სამომავლო პროექტები. ბევრი რამის გაკეთება აქვთ გათვალისწინებული მეანაბრეთა მომსახურების საქმეში. კერძოდ, განზრახული აქვთ ევროპული ბანკების მიხედვით თავიანთ მეანაბრეებს დაურიგონ ბანკომატები, რომელიც მოქალაქეებს გაათავისუფლებს ფულის ხელზე ტარებისაგან. მოწესრიგდება ანგარიშებიდან კომუნალური თუ სხვა გადასახადების გასტუმრება,ბანკში გახსნილი საკრედიტო ბარათების მეშვეობით. მთავარია ბანკს ჰქონდეს უფლება კრედიტების გაცემისა, რათა თუნდაც ყველა საავადმყოფოში სავაჭრო ობიექტები კი არ გაიხსნას, არამედ ექიმებს მიეცეთ საშუალება პაციენტების მომსახრებისა. კრედიტების დაბანდება საჭიროა მეციერების, განათლების, კულტურის დარგში. ლაპარაკია ხანგრძლივი პერიოდის კრედიტებზე მინიმალური პროცენტებით... ყოველივე ეს სტაბილურს გახდის ბანკის შემოსავალს, რაც თავისთავად განამტკიცებს სახელმწიფო ბიუჯეტს. თუმცა ამაზე შემდგომ...

**გვერდების მასალები მოამზადა ციალა კალმახახელიძემ.**

# რეკლამა ✶ რეკლამა ✶ რეკლამა
# რეკლამა ✶ რეკლამა ✶

## საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო აცხადებს კომერციულ კონკურსს

### საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა კომიტეტის სსკ "საქმონტაჟსპეცმშენის" სამმართველო "საქმონტავტომატიკის" იჯარით (გამოსყიდვის უფლებით) გაცემის შესახებ.

**კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:**

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს ან მოქალაქეთა გაერთიანებებს, საზღვარგარეთის ქვეყნების ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, იმ არასახელმწიფო იურიდიულ პირებს, რომელთა საწესდებო კაპიტალში სახელმწიფოს, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, საქველმოქმედო და სხვა საზოგადოებრივი ფონდების, რელიგიური ორგანიზაციების წილი შედგენს 25 პროცენტზე ნაკლებს, აგრეთვე საწარმოს მუშაკებს, რომლებიც ამ მიზნით ქმნიან ამხანაგობას.

**ინფორმაცია საკონკურსო ობიექტების შესახებ:**

მეიჯარე: არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა კომიტეტი;

სამმართველოს მისამართი: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის ქუჩა № 134.

მიწის ნაკვეთის ფართობი: 0,05 ჰა.

საიჯარო ქირის საწყისი ოდენობა: 2776 აშშ დოლარი.

საკონკურსო პირობა: საწარმოს პროფილის შენარჩუნება.

კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადდება მონაწილე, რომლის წინადადებებიც აკმაყოფილებენ საკონკურსო პირობებს და იღებს ვალდებულებას საჭირო ქირის საწყის ოდენობაზე მეტი და მონაწილეთა შორის მაქსიმალური თანხის გადახდაზე.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა იურიდიულმა პირებმა საიჯარო განცხადებების განმხილველ კომისიაში უნდა წარმოადგინონ განცხადება, რომელსაც უნდა ერთვოდეს:

1. წესდება;
2. მომსახურე ბანკის დასახელება, მისამართი და საანგარიშსწორებო ანგარიშის ნომერი;
3. ცნობა მომსახურე ბანკიდან გადახდისუნარიანობისშესახებ;

კონკურსში მონაწილეობის მსურველმა ფიზიკურმა პირებმა საიჯარო განცხადებების განმხილველ კომისიაში უნდა წარმოადგინონ განცხადება, რომელშიც უნდა იყოს შემდეგი მონაცემები:ფიზიკური პირის გვარი, სახელი, მამის სახელი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, საპასპორტო მონაცემები.

განმცხადებლებმა კონკურსში მონაწილეობის მისაღებად უნდა წარმოადგინონ "ბე"-ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი. "ბე"-ს სიდიდე არ უნდა იყოს რესპუბლიკაში დადგენილი მინიმალური ხელფასის ორმაგ ოდენობაზე ნაკლები.

თანხის ჩარიცხვა უნდა მოხდეს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ანგარიშზე: სააქციო კომერციული ბანკი "საქართველოს ბანკი" ა/ა № 001141776, მფო 521017.

განცხადება თავსდება სპეციალურ კონვერტში და ილუქება განმცხადებლის მიერ-ან მისი თანდასწრებით.

განმცხადებელი კონკურსში მონაწილის სტატუსს იძენს საიჯარო განცხადების განმხილველი კომისიის ზონარგაყრილ დავთარში. განცხადების რეგისტრირებითა და ხელმოწერით დადასტურების შემდეგ.

განცხადებების მიღება მთავრდება კონკურსის ჩატარებამდე სამი დღით ადრე.

საკონკურსო კომისიის სხდომა გაიმართება სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში ამ განცხადების გამოქვეყნებიდან 1 თვის შემდეგ.

სხდომის ჩატარების დრო და ადგილი, სადაც მოხდება ცალკეული განცხადების განხილვა განმცხადებელს ეცნობება განცხადების წარმოდგენისას.

**შენიშვნა:** იმ შემთხვევაში, თუ საინფორმაციო ცნობის გამოქვეყნებიდან 14 კალენდალური დღის ვადაში სამმართველო "საქმონქავტომატიკის" მუშაკთა მიერ შექმნილი ამხანაგობა სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს საიჯარო განცხადებების განმხილველ კომისიას წარუდგენს განაცხადს საწარმოს იჯარით (ქონების გამოსყიდვის უფლებით)აღების შესახებ, საქართველოს პარლამენტის 20.09.94 წლის № 555-I დადგენილებით დამტკიცებული დებულების "სახელმწიფო ქონების იჯარით გაცემის წესის შესახებ" 8.17. პუნქტის თანახმად კონკურსი აღარ გაიმართება და საწარმო იჯარით (ქონების გამოსყიდვის უფლებით) პირდაპირ გადაეცემა ამ ამხანაგობას. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ კომისიისათვის წარდგენილი განაცხადით საწარმოს მუშაკები სარგებლობენ კონკურსის სხვა მონაწილეთა თანაბარი უფლებებით. თუ საწარმოს მუშაკთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი შეიცავს სხვა მონაწილეთაგან შემოთავაზებულ თანაბარ პირობებს, უპირატესობა ენიჭებათ საწარმოს მუშაკებს.

განაცხადების მიღება წარმოებს ყოველდღე (დასვენების დღეების გარდა) 10 საათიდან 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის პრ. № 64, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო, ოთახი № 307.

**ცნობებისათვის დარეკეთ: 29-27-94, 29-00-06**

**საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო.**

## საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო აცხადებს კომერციულ კონკურსს

### საქართველოს რესპუბლიკის პურპროდუქტებისა და მეფრინველეობის მრეწველობის სახელმწიფო კორპორაციის თეთრიწყაროს მეფრინველეობის ფაბრიკის ჯორჯიაშვილის საბროილერო განყოფილების იჯარით (გამოსყიდვის უფლებით) გაცემის შესახებ

**კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:**

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს ან მოქალაქეთა გაერთიანებებს, საზღვარგარეთის ქვეყნების ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, იმ არასახელმწიფო იურიდიულ პირებს, რომელთა საწესდებო კაპიტალში სახელმწიფოს, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, საქველმოქმედო და სხვა საზოგადოებრივი ფონდების, რელიგიური ორგანიზაციების წილი შეადგენს 25 პროცენტზე ნაკლებს, აგრეთვე საწარმოს მუშაკებს, რომლებიც ამ მიზნით ქმნიან ამხანაგობას.

**ინფორმაცია საკონკურსო ობიექტის შესახებ:**

მეიჯარე: პურპროდუქტებისა და მეფრინველეობის მრეწველობის სახელმწიფო კორპორაცია. საბროილერო განყოფილების მისამართი: თეთრიწყაროს რაიონი, სოფ. ჯორჯიაშვილი, მიწის ნაკვეთის ფართობი: 3,8 ჰა.

საიჯარო ქირის საწყისი ოდენობა: 4620 აშშ დოლარი.

**საკონკურსო პირობები:**

– საწარმოს პროფილის შენარჩუნება;

– განყოფილებაში 1995-1996 წ.წ. შემოტანილი უნდა იქნას 1,0 მლნ. საინკუბაციო კვერცხი, საიდანაც გამოზრდაზე უნდა იქნას დაყენებული 700,0 ათასი ერთდღიანი ბროილერი;

– 1995-1996 წ.წ. რეალიზაცია გაუკეთდეს 500,0 ათას ფრთა ბროილერს (500 ტ. ხორცი).

– განყოფილებაში შეიქმნება 30 სამუშაო ადგილი, უმეტესად ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებისათვის.

– სავარაუდო მოგებამ 1995-1996 წ.წ. უნდა შეადგინოს 100 მლნ. რუსული რუბლი, რომლის ნაწილი უნდა მოხმარდეს განყოფილების გადაიარაღებას და სოფ. ჯორჯიაშვილის მაცხოვრებელთა სოციალური პირობების გაუმჯობესებას.

კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადდება მონაწილე, რომლის წინადადებებიც აკმაყოფილებენ საკონკურსო პირობებს და იღებს ვალდებულებას საიჯარო ქირის საწყის ოდენობაზე მეტი და მონაწილეთა შორის მაქსიმალური თანხის გადახდაზე.

კონკურსში მონაწილოების მსურველმა იურიდიულმა პირებმა საიჯარო განცხადებების განმხილველ კომისიაში უნდა წარმოადგინონ განცხადება, რომელსაც უნდა ერთვოდეს:

1. წესდება;
2. მომსახურე ბანკის დასახელება, მისამართი და საანგარიშსწორებო ანგარიშის ნომერი;
3. ცნობა მომსახურე ბანკიდან გადახდისუნარიანობის შესახებ.

კონკურსში მონაწილეობის მსურველმა ფიზიკურმა პირებმა საიჯარო განცხადებების განმხილველ კომისიაში უნდა წარმოადგინონ განცხადება,რომელშიც უნდა იყოს შემდეგი მონაცემები: ფიზიკური პირის გვარი, სახელი, მამის სახელი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, საპასპორტო რეკვიზიტები.

განმცხადებელმა კონკურსში მონაწილეობის მისაღებად უნდა წარმოადგინოს "ბე"-ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი. "ბე"-ს სიდიდე არ უნდა იყოს რესპუბლიკაში დადგენილი მინიმალური ხელფასის ორმაგ ოდენობაზე ნაკლები.

თანხის ჩარიცხვა უნდა მოხდეს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ანგარიშზე: სააქციო კომერციული ბანკი "საქართველოს ბანკი" ა/ა № 001141776, მფო 521017.

განცხადება თავსდება სპეციალურ კონვერტში და ილუქება განმცხადებლის მიერ ან მისი თანდასწრებით.

განმცხადებელი კონკურსში მონაწილის სტატუსს იძენს საიჯარო განცხადების განმხილველი კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განცხადების რეგისტრირებისა და ხელმოწერით დადასტურების შემდეგ.

განცხადებების მიღება მთავრდება კონკურსის ჩატარებამდე სამი დღით ადრე.

საკონკურსო კომისიის სხდომა გაიმართება სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში ამ განცხადების გამოქვეყნებიდან 1 თვის შემდეგ.

სხდომის ჩატარების დრო და ადგილი, სადაც მოხდება ცალკეული განცხადების განხილვა განმცხადებელს ეცნობება განცხადების წარმოდგენისას.

**შენიშვნა:** იმ შემთხვევაში თუ საინფორმაციო ცნობის გამოქვეყნებიდან 14 კალენდარული დღის ვადაში ჯორჯიაშვილის საბროილერო განყოფილების მუშაკთა მიერ შექმნილი ამხანაგობა სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს საიჯარო განცხადებების განმხილველ კომისიას წარუდგენს განაცხადს საწარმოს იჯარით (ქონების გამოსყიდვის უფლებით) აღების შესახებ, საქართველოს პარლამენტის 20.09.94 წლის № 555-I დადგენილებით დამტკიცებული დებულების "სახელმწიფო ქონების იჯარით გაცემის წესის შესახებ" 8.17. პუნქტის თანახმად კონკურსი აღარ გაიმართება და საწარმო იჯარით (ქონების გამოსყიდვის უფლებით) პირდაპირ გადაეცემა ამ ამხანაგობას. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ კომისიისათვის წარდგენილი განაცხადით საწარმოს მუშაკები სარგებლობენ კონკურსის სხვა მონაწილეთა თანაბარი უფლებებით. თუ საწარმოს მუშაკთა მიერ წარდგენილი დოკუმენტები შეიცავს სხვა მონაწილეთაგან შემოთავაზებულ თანაბარ პირობებს, უპირატესობა ენიჭებათ საწარმოს მუშაკებს.

განცხადების მიღება წარმოებს ყოველდღე (უქმე დღეების გარდა) 10 საათიდან 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის პრ.№ 64, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო, ოთახი № 307.

**ცნობებისათვის დარეკეთ, 29-27-94; 20-00-06**

**საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო**

## პრივატიზაცია არის...

- **ფართომასშტაბიანი ეკონომიკური რეფორმების შემადგენელი ნაწილი.**
- **სახელმწიფო საწარმოთა კერძო სექტორისათვის გადაცემა**
- **გამოცდილი საშუალება:**
  - **— დაეხმაროს საუკეთესო საწარმოებს გაფართოებაში.**
  - **— დააჩქაროს წამგებიან საწარმოთა ლიკვიდაცია.**
- **საუკეთესო გადაწყვეტილებების სწრაფად მიღების საშუალება.**

გაზეთის დამფუძნებლები არიან საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო და რედაქციის შემოქმედებითი კოლექტივი.

„პრივატიზების მაცნე" რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. სარეგისტრაციო ნომერია 0893

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.

რედაქციაში დასაბეჭდად წარმოდგენილ წერილებში დასახელებული ფაქტების, ციფრების, სახელებისა და გვარების სიზუსტეს უზრუნველყოფენ ავტორები. დედნებში დაშვებულ შეცდომებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება. დედნები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ავტორებს ვთხოვთ ნუ შემოგვთავაზებენ თაბახის 7 გვერდზე ვრცელ წერილს.

რედაქცია არ იღებს ხელნაწერებს.

პრივატიზების მაცნე
ინდექსი 66630

რედაქციის მისამართი:
ილია ჭავჭავაძის გამზირი, 64
ტელ. 99-93-07; 29-35-90.

გაზეთი დაიბეჭდა
ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა
"სამშობლოში" მ. კოსტავას ქ. № 14.

სარედაქციო კოლეგია